ქართული სიმბოლისტური პოეზიის მეტრული ტრანსფორმაცია საბჭოთა პერიოდში

ქეთი კიკილაშვილი

უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

კურსის ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ანციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთი კიკილაშვილი, ქ. კიკილა.
თარიღი: 09.07.2020

აბსტრაქტი

XX საუკუნეში ქართულ პოეზიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ქართველმა პოეტებმა დაიწყეს სწრაფვა დასავლური კულტურისაკენ. ეს ყველაზე კარგად გამოვლინდა ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში. მათ უარი თქვეს ტრადიციულ მეტრულ ლექსზე. ტრადიციული სქემის შიგნით საინტერესო ცვლილებები შეიტანეს. ვარიაციებით ზრდიდნენ ვერსიფიკაციულ-რიტმულ შესაძლებლობებს. სიმბოლისტები იწყებენ ქართული ლექსის განახლებას. შემოაქვთ ახალი საზომები და, მეორე მხრივ, ტრადიციული ლექსწყობის ფორმებს უპირისპირებენ თავისუფალ ლექსს. ისინი ლექსწყობაში უპირატესობას ანიჭებენ 5/5-ისა და 5/4/5 მეტრული სახეობებს. უმეტესად წერენ სიმეტრიული ათმარცვლედებითა და ბესიკური თოთხმეტმარცვლედით. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართველ სიმბოლისტთა ლექსებში კვლავ გაბატონდება ტრადიციული მეტრული წყობა.

ნაშრომში განხილულია მეტრული წყობა ქართველ სიმბოლისტთა პოეზიაში, გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ. კვლევის მიზანია, წარმოჩნდეს სიმბოლისტების ლექსებში მეტრული წყობის ცვლილება, გაეცეს პასუხი, რამ განაპირობა მრავალფეროვანი მეტრული წყობის ტრანსფორმაცია ტრადიციულ მეტრულ ლექსად. ქართველ სიმბოლისტთა ლექსების სემანტიკური შედარების საფუძველზე მიმოხილულია, რა გავლენა მოახდინა იდეოლოგიურმა ჩარევამ და ლიტერატურის პოლიტიზაციამ სიმბოლისტების ლექსის სტრუქტურასა და შინაარსზე. კვლევაში ნაჩვენებია 1910-იანი წლებიდან ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში გაჩენილი ახალი ტენდენციები, ასევე მეტრული წყობისა და შინაარსის თვალსაზრისით განხილულია კოლაუ ნადირაძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის ლექსები. მეორე მხრივ, წარმოჩენილია, 1920-იანი წლების ბოლოდან, როგორ ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება პოეზია მასობრივ კულტურად ექცია და რა ზეგავლენას ახდენდა ეს ქართულ პოეზიაზე. ისტორიული წყაროებისა და სტატიების დახმარებით ნაჩვენებია რუსულ-საბჭოური ხელისუფლების პოლიტიკა. მათ უნდოდათ პოეზია ყველასათვის გასაგები ყოფილიყო. პოეზიას დასავლური კულტურის ღირებულებები კი არ უნდა შემოეტანა, არამედ ქცეულიყო

ტოტალიტარული რეჟიმის აგიტატორად, ხოტბა შეესხა საბჭოური მმართველობისათვის და პოლიტიკური ლიდერებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქართული სიმბოლისტური პოეზია, მეტრიკა, საბჭოთა კულტურა, იდეოლოგია, პოეზია და პროპაგანდა.

Abstract

In the twentieth century, significant changes took place in Georgian poetry. Georgian poets began to aspire to Western culture. This was best revealed in poetic works by Georgian Symbolist poets. They rejected the traditional metrical verse. Interesting changes have been made within the traditional scheme. Variations increased the versatile rhythmic possibilities. Symbolists begin to renew the Georgian verse.Traditional verse forms are opposed to free verse. First they reject the rhythm and introduce a new measure. Particular attention is paid to the visuals of the text. They prefer 5/5 and 5/4/5 meter species in the verse. Most of them write with symmetrical decimals and Besik fourteen grains. After the Sovietization of Georgia, the traditional metrical structure is still dominant in the poems by Georgian symbolists.

The paper discusses the metric set of Georgian symbolist poetry before and after the Sovietization. The aim of the study is to show the nature of changes in the metrical structure in the poems of the Symbolists, to give an answer as to what caused the transformation of the diverse metric set into a stardardized verse. Based on the semantic comparison of the poems of the Georgian Symbolists, it is reviewed how political changes influenced the structure and content of Georgian verse.The research shows new trends in the works of Georgian symbolists: KolauNadiradze, Valerian Gaprindashvili, GalaktionTabidze, Paolo Iashvili and Titian Tabidze. At the same time, it shows how the Soviet regime tried to turn poetry into a mass culture and how this affected the characteristics of Georgian verse. While applying historical sources and research articles, the policy of the Soviet-Russian power is shown. They wanted the poetry to be understandable to everyone. Poetry should not have been oriented towards the Western culture, but should have become an agitator of the Soviet regime, and praise the political power and party leaders.

Keywords: Georgian Symbolist Poetry, Metrical Verse, Soviet Culture, Ideology, Poetry and Propaganda.

.